რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№84/თ

„19“ აპრილი, 2021 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწეებისთვის და გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებისთვის მოვალეობების განსაზღვრის თაობაზე

ვინაიდან, როგორც წესი სასამართლოს წარმოებაში არსებულ შეჩერებულ საქმეებზე მხარეები არ აქტიურობენ, ამასთან საქმეთა სიმრავლის გამო აპარატის თანამშრომლების (მოსამართლის თანაშემწე, სხდომის მდივანი) მხრიდან ვერ ხდება სათანადო თვითკონტროლი შეჩერებულ საქმეებზე შეჩერების საფუძვლების აღმოფხვის გამოსავლენად, მართლმსაჯულების ეფექტურობის ამაღლების მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია განისაზღვროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწეების და მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნების ცალკეული მოვალეობები.

,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", „გ“ და ,,თ" ქვეპუნქტების, საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის №466 ბრძანებულებით დამტკიცებული ,,რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ" დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწეები, რომლებიც მიმაგრებულები არიან სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეებთან, ასევე მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნები ვალდებული არიან:

✓ ყოველი კვარტლის ბოლო თვის 25 რიცხვამდე, წარმოებაში არსებულ, შეჩერებულ საქმეებზე მოახდინონ ინფორმაციის გადამოწმება და დაზუსტება, ხომ არ აღმოიფხვრა საქმის შეჩერების საფუძვლები. გადამოწმების შედეგების ამსახველი დოკუმენტი დაურთონ საქმეს.

2. იმის გათვალისწინებით, რომ უახლოესი გადამოწმების პერიოდი უწევს 2021 წლის 25 ივნისს, პირველი გადამოწმება განხორციელდეს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 15 დღის ვადაში;

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სასამართლოს მენეჯერს;

4. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის აპარატის თანამშრომლებს, გარდაბნის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის აპარატის სხდომის მდივნებს და სასამართლოს მენეჯერს;

5. ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 19 აპრილიდან;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მისამართი: ქ. რუსთავი ბოსტან-ქალაქის ქ. №6.

ამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარე